

# Capatect-Mineral-Leichtputze R und K

დეკორატიული, მსუბუქი ბათქაშის მშრალი ნარევი მინერალურ ბაზაზე, შიდა და გარე სამუშაოებისათვის.



**CAPAROL**

შპს „კაპაროლ ჯორჯია“  
ფირმათა ჯგუფ DAW-ს სანარმო

## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მინერალური, დეკორატიული მსუბუქი ბათქაშები.  
გამოიყენება, როგორც დამასრულებელი ფენა: Capatect-ის თბოსისტემების მსუბუქ ბათქაშებში, შეკიდული ვენტილირებადი ფასადების სისტემებში, მინერალურ ძველ ბათქაშებსა და PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის შუალედურ ბათქაშებზე, არ გამოდგება მარილიანი, პლასტმასის და ხის ზედაპირებისთვის.

თვისებები

- არა წვადი, ან ძნელად აალებადი (დამოკიდებულია თბოსაიზოლაციო სისტემების: Capatect-WDV-Systems და VHF-Systems წყობაზე)
- ორთქლდიფუზიური, თითქმის არ ქმნის შიდა დაძაბულობას
- ადვილად დასატანი მსუბუქი შემავსებლების შემცველობის გამო
- განსაკუთრებულად ეკონომიური
- ეკოლოგიურად სუფთა
- შემკვრელი: თეთრი ცემენტი და კირის ჰიდრატი მინიმალური ორგანული დანამატებით
- ჰიდროფობური თვისებების და ადჰეზიის გამაუმჯობესებელი დანამატები
- კომპრესიული ძალა: > 6 N/მმ<sup>2</sup> DIN EN 998-1 სტანდარტის შესაბამისად

შეფუთვა

25 კგ ტომარა, 1,0 ტ. კონტეინერი

ფერი

ნატურალური თეთრი

ისეთ შემთხვევებში, როდესაც სილიაგის ხარისხი ინდექსი  $\geq 30$ -ს, შესაძლებელია მასალის ქარხნული შეფერადება CaparolColor-ის, ან Caparol 3D სისტემების ფერებით. განსხვავებული სილიაგის ხარისხის (ინდექსი 20-დან 30-მდე) არჩევის შემთხვევაში, საბოლოო ფენა უნდა შეიღებოს Syllitol-Finish 130-ით. სილიაგის ხარისხი - ინდექსით < 20 არ გამოდგება თბო საიზოლაციო სისტემების დასაფარად. შეფერადებულ მინერალურ ბათქაშებზე უამინდობის პირობებში შესაძლოა გამოვლინდეს სხვაობა ფერებში, რაც გავლენას არ ახდენს პროდუქტის ფუნქციურ მახასიათებლებზე. ფერის აჭრელების თავიდან აცილების მიზნით, ბათქაშის შეღებილი ადგილები დამატებით დაამუშავეთ Syllitol-Finish 130-ით.

სიპრიალის ხარისხი

მქრქალი

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას.  
დაიცავით პირდაპირი მზის სხივებისგან. გაუსხნელი შეფუთვა ინახება საწყობში დაახლოებით 12 თვე.

ტექნიკური პარამეტრები

- ორთქლ დიფუზიურობის კოეფიციენტი:  $S_d H_2O$ : 0.07 - 0.30 მ, DIN EN ISO 7783-2 სტანდარტის შესაბამისად
- გამყარებული ხსნარის სიმკვრივე: < 1,3კგ/დმ<sup>3</sup>
- წყლის კაპილარული შეწოვის უნარი:  $W < 0.5$  კგ /მ<sup>2</sup>, 24 საათის შემდეგ, DIN 1609 სტანდარტის შესაბამისად.



ხარჯი

პროდუქტი	სტრუქტურა	მარცვლოვანობა (მმ)	დაახლ. ხარჯი (კგ/მ <sup>2</sup> )
Capatect-Mineral-Leichtputz R30	Reibeputz-Struktur	3,0	2,5
Capatect-Mineral-Leichtputz R50	Reibeputz-Struktur	5,0	3,5
Capatect-Mineral-Leichtputz K20	Kratzputz-Struktur	2,0	2,4
Capatect-Mineral-Leichtputz K30	Kratzputz-Struktur	3,0	2,8
Capatect-Mineral-Leichtputz K50	Kratzputz-Struktur	5,0	4,4

ხარჯში არ არის გათვალისწინებული საწარმოო დანაკარგები. გაითვალისწინეთ შესაძლო განსხვავება ხარჯში კონკრეტული ობიექტის და დამუშავების პროცესის თავისებურებებიდან გამომდინარე.

## გამოყენება

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს სწორი, სუფთა, მშრალი, მყარი და თავისუფალი ადჰეზიის დამაბრკოლებელი ნივთიერებებისაგან. ხავსით, ობით და სოკოთი დაავადებული ზედაპირები განმინდეთ წყლის ძლიერი ჭავლით, სათანადო წესების დაცვით, გარეცხეთ Capatop-ით და კარგად გააშრეთ. საწარმოო ნარჩენები და ჭვარტილი მოაცილეთ წყლის ძლიერი ჭავლით შესაბამისი საწმენდი საშუალებების გამოყენებით და ნორმატივების დაცვით.

დატანის მეთოდი

სველი ბათქაში დაიტანეთ უჟანგავი ქაფჩით, ან მექანიზირებული მეთოდით და გაათანაბრეთ მარცვლის სისქეზე. ამის შემდეგ, პოლიურეთანის, პლასტმასის, ხის სახეხით, ან ღრუბლით ხდება ზედაპირის სტრუქტურის ფორმირება: ვერტიკალური, განივი, ან წრიული მოძრაობებით.

იმუშავეთ ერთი და იმავე მასალის მასტრუქტურირებადი ნიჩბებით, რადგან ინსტრუმენტის სახეობაზეა დამოკიდებული ზედაპირის საბოლოო სტრუქტურა. თანაბარი სტრუქტურის მისაღწევად სივრცეში მყოფ ყველა ზედაპირზე საჭიროა იმუშაოს ერთი და იმავე ხელოსანმა, რათა ზედაპირებზე ერთმანეთისგან განსხვავებული „ხელწერა“ არ შეინიშნებოდეს.

ნატურალური აგრეგატების და გრანულატების გამოყენებისას შესაძლოა ფერთა ტონების მერყეობა, ამიტომ საჭიროა ერთმანეთის მომიჯნავე ზედაპირებზე მხოლოდ ერთი და იმავე სერიის პროდუქტი გამოიყენოთ, ან სხვა და სხვა სერიის პროდუქტები წინასწარ შეუერთოთ ერთმანეთს.

დაფარვის სტრუქტურა

ძირითადი, ან შუალედური ფენები საბოლოო დამუშავებამდე უნდა იყოს მშრალი.

### თბოსაიზოლაციო სისტემები Capatect-WDVS და Capatect-VHF:

ახალი მინერალური ბათქაშები (არმირების ფენა):  
კონვეიერული მეთოდით მუშაობის დროს არ საჭიროებს დაგრუნტვას.  
ხანგრძლივი დგომის შემთხვევაში (მაგალითად: გამოზამთრების) გამოფიტული არმირების ფენა უნდა დაიგრუნტოს Putzgrund 610 -ით.  
არმირების მასალები Capatect Armierungsputz 133 და CapatectKlebe- und Armierungsmasse 186M, ამინდის პირობების და ზედაპირის შენოვადობის გათვალისწინებით, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დაიგრუნტოს Capatect Konzentrat-ით.

### Capatect IDS სისტემები:

ახალი მინერალური არმირების და კონვეიერული მეთოდით მუშაობის დროს არ საჭიროებს დაგრუნტვას.

### P II და P III-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები, ძველი მინერალური ბათქაშები, და ბეტონი:

ახალი ბათქაშები: 2-4 კვირა გააჩერეთ დაუმუშავებლად.  
თავდაპირველი ფენა Putzgrund 610-ით.

ბეტონი, მყარი ზედაპირით:

თავდაპირველი ფენა - Capatect Putzgrund 610-ით.

ბეტონი და ბათქაშები შემწოვი, ფოროვანი და ქვიშიანი ზედაპირით:

თავდაპირველი ფენა - Caparol-AcrylHydrosol-ით.

შუალედური ფენა - Capatect Putzgrund 610-ით.

ბეტონი და ბათქაშები ცარცვადი და ძლიერ შემწოვი ზედაპირით:

თავდაპირველი ფენა - Dupa-grund-ით.

შუალედური ფენა - Capatect Putzgrund 610-ით.

გამოყენების პირობები

დამუშავების და შრომის ფაზაში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C -ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30°C-ს. არ გამოიყენოთ მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის, ნისლის და ჰაერის მაღალი ტენიანობის დროს.

**შრობის დრო**

ჰაერის 20 C° ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში ახალი ბათქაშის ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზად იქნება 2 კვირაში. უფრო დაბალი ტემპერატურის და მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. დამატებით გრუნტის CapaGrund Universal-ის გამოყენებით ზედაპირზე მარილების გამოსვლის რისკები საკმაოდ მცირდება, და შემდგომი დამუშავებისთვის მზადაა უკვე 7 დღეში. ბათქაში შრება წყლის აორთქლების ხარჯზე, ამიტომ ცივ სეზონზე და ჰაერის მაღალი ტენიანობის პირობებში შრობის დრო მატულობს.

**ხელსაწყოების დასუფთავება**

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები განმინდეთ წყლით.

**მასალის მომზადება**

Capatect-Mineral-Leichtputze შესაძლებელია მოირიოს ყველა არსებული უწყვეტი მორევის მანქანით, ასევე ხელით, სპეციალური მიქსერით, სუფთა ცივი წყლის დამატებით, ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. დამუშავებამდე გააჩერეთ დაახლოებით 10 წუთი და კიდევ ერთხელ ამოურიეთ. საჭიროების შემთხვევაში, თუ კონსისტენცია მოითხოვს, დაამატეთ მცირე რაოდენობით წყალი.

წყლის საჭიროება (ლ.) 25 კგ-იან ტომრებზე:  
 CT-Mineral-Leichtputz R 30: დაახლოებით 9 ლიტრი  
 CT-Mineral-Leichtputz R 50: დაახლოებით 10–11 ლიტრი  
 CT-Mineral-Leichtputz K 20: დაახლოებით 7,5 ლიტრი  
 CT-Mineral-Leichtputz K 30: დაახლოებით 8 ლიტრი  
 CT-Mineral-Leichtputz K 50: დაახლოებით 7,7 ლიტრი

დამზადებული მასალის ვარგისიანობის ვადა, ამინდის პირობების გათვალისწინებით, შეადგენს დაახლოებით 1 - 1,5 საათს, ტუმბოთი მიწოდების დროს - დაახლოებით 30 წუთს.

**არავითარ შემთხვევაში არ შეაზავოთ უკვე გაქვავებული მასალა წყლით.**

**მომრევი დანადგარის მაგალითი**

სტანდარტული დოზირების და მორევის სიხშირის მქონე უწყვეტი მორევის მომრევი -Berö Calypso 15 და ზამბარა ტუმბო - Berö Speedy 15.

**მნიშვნელოვანი მონაცემები**

აუცილებლად გაითვალისწინეთ მანქანის მწარმოებლის რეკომენდაციები!

**კვების წყაროსთან მიერთება:**

სამფაზიანი დენი 400 ვ / 16 A.

**წყალთან მიერთება:**

შლანგი 3/4" GEKA - თი, მანქანის მუშაობის პროცესში მინ. წნევა - 2,5 ბარი.

**წყლის ხარჯი:**

CT-Mineral-Leichtputz R30: დაახლოებით 420 ლ/საათში,  
 CT-Mineral-Leichtputz R50: დაახლოებით 450 ლ/საათში,  
 CT-Mineral-Leichtputz K20: დაახლოებით 375 ლ/საათში,  
 CT-Mineral-Leichtputz K30: დაახლოებით 360 ლ/საათში,  
 CT-Mineral-Leichtputz K50: დაახლოებით 340 ლ/საათში.

სასურველი კონსისტენციის მისაღებად შესაძლებელია წყლის მიწოდების რეგულაცია ონკანზე არსებული ზუსტი რეგულატორით.

**მიმწოდებელი შლანგები:**

დასაწყისში - შიდა Ø 35 მმ /13,3 მ-ზე.  
 შლანგის ბოლოში - შიდა Ø 25 მმ/10,0 მ.-ზე.

**მიწოდების მანძილი:**

მაქსიმალური მანძილი - დაახლოებით 50 მ (დამოკიდებულია ამინდსა და ობიექტზე).

**პისტოლეტი მიფრქვევისთვის:**

Berö Integra Kombi

მიმფრქვევის დიამეტრი:

CT-Mineral-Leichtputz R30: 12 მმ,  
 CT-Mineral-Leichtputz R50: 14 მმ,  
 CT-Mineral-Leichtputz K20: 10 მმ,  
 CT-Mineral-Leichtputz K30: 12 მმ,  
 CT-Mineral-Leichtputz K50: 14 მმ.

**კომპრესორი:**

V-Meko 400

მიმწოდებელი შლანგები გამოყენების წინ უნდა გაირეცხოს კირის ხსნარით ან კლეისტერით.

**მითითება:**

წყლის ხარჯი შესაძლოა იცვლებოდეს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ფერადი ბათქაშების ფერებში სხვაობის თავიდან ასაცილებლად, გამოიყენეთ ერთი და იგივე რაოდენობის წყალი.

## უსაფრთხოების ზომები

რჩევა	<p>Capatect-Mineral-Leichtputze-ს სტანდარტულ პირობებში გააჩნია დაცვა ხავსისგან და სოკოსგან. საჭიროების შემთხვევაში, შუალედური ფენა დაიტანეთ ThermoSan-ი. შრობის პროცესის განმავლობაში წვიმისაგან დასაცავად კარკასი აუცილებელია დაიფაროს ტენტი. დაიცავით გარშემო არსებული ზედაპირები (განსაკუთრებით მინა, კერამიკა, ლაქი, კლინკერის აგური, ბუნებრივი ქვა, მეტალი და ხე) შეფუთვისგან. ბათქაშის მიმდებარე დაუფონებლივ განმინდეთ წყლით. Capatect-Mineral-Leichtputze-არ გამოდგება წყლის დატვირთვის მქონე ჰორიზონტალური ზედაპირებისათვის.</p>
უსაფრთხო გამოყენების წესები	<p>ფხვნილს გააჩნია ტუტე თვისებები, ინვევს კანის გაღიზიანებას, აზიანებს თვალს.</p> <p>არ შეისუნთქოთ მტვერის "ღრუბელი". მოერიდეთ თვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრას. მუშაობისას გამოიყენეთ დამცავი აღჭურვილობა. გადაყლაპვისას: გამოირიცხეთ პირი, არ გამოიწვიოთ ლებინება.</p> <p>თვალში მოხვედრისას: რამოდენიმე წუთის განმავლობაში გამიბანეთ წყლით. კონტაქტური ლინზეები ამოიღეთ. განაგრძეთ თვალის გამოხანა. მიმართეთ ექიმს.</p>
უტილიზაცია	<p>ცარიელი შეფუთვა მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ ლიცენზირებულ ნაგავსაყრელზე. საღებავის ნარჩენი გამხმარი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას, ადგილობრივი ადმინისტრაციული წესების შესაბამისად.</p>
GIS კოდი	ZP1
ნებართვები	<p>Z-33.41-130          Z-33.42-131          Z-33.43-132          Z-33.44-133          Z-33.47-859          Z-31.1-171          Z-33.49-1071          Z-33.84-1130</p>
ტექნიკური კონსულტაცია	<p>მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.</p>